



Tax • Audit • Consulting

სს ჰიუნდაი ავტო საქართველო

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის განცხადება	3
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	4
სრული შემოსავლის ანგარიშგება	8
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	9
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	10
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	11
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	12

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის განცხადება 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებს, კაპიტალის ცვლილებასა და ფულადი ნაკადების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მს ფას“) შესაბამისად. ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შემდეგზე:

- სააღრიცხვო პოლიტიკის სწორად შერჩევა და გამოყენება;
- ინფორმაციის, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, წარდგენა იმგვარად, რომ უზრუნველყოს შესაბამისი, სანდო, შესადარისი და გასაგები ინფორმაცია;
- დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნება, როდესაც მს ფას-ის სპეციფიკური მოთხოვნების შესრულება არ არის საკმარისი საიმისოდ, რომ მომხმარებელმა შეძლოს გააცნობიერონ კონკრეტული ოპერაციების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს სახით საქმიანობის გაგრძელების უნარის შეფასება.
- მმართველობის ანგარიშგებაში ინფორმაციის გამჟღავნება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;
- მმართველობის ანგარიშგების მომზადება ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად.

ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია შემდეგზე:

- კომპანიის მასშტაბით შიდა კონტროლის ეფექტიანი და ჯანსაღი სისტემის შემუშავება, დანერგვა და შენარჩუნება;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარადგენს და ხსნის კომპანიის ოპერაციებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენასა და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას.
- სააღრიცხვო ჩანაწერების წარმოება საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელება;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების გამოვლენა და პრევენცია.

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის დამტკიცდა კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 21 ნოემბრის.

ხელმძღვანელობის სახელით:

პრეზიდენტი: დავით გიორგობიანი

21 ნოემბერი 2025 წელი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის განცხადება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებს, კაპიტალის ცვლილებასა და ფულადი ნაკადების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად. ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შემდეგზე:

- სააღრიცხვო პოლიტიკის სწორად შერჩევა და გამოყენება;
- ინფორმაციის, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, წარდგენა იმგვარად, რომ უზრუნველყოს შესაბამისი, სანდო, შესადარისი და გასაგები ინფორმაცია;
- დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნება, როდესაც მსს ფასს-ის სპეციფიკური მოთხოვნების შესრულება არ არის საკმარისი საიმისოდ, რომ მომხმარებლებმა შეძლონ გააცნობიერონ კონკრეტული ოპერაციების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს სახით საქმიანობის გაგრძელების უნარის შეფასება.
- მმართველობის ანგარიშგებაში ინფორმაციის გამჟღავნება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;
- მმართველობის ანგარიშგების მომზადება ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად.

ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია შემდეგზე:

- კომპანიის მასშტაბით შიდა კონტროლის ეფექტიანი და ჯანსაღი სისტემის შემუშავება, დანერგვა და შენარჩუნება;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარადგენს და ხსნის კომპანიის ოპერაციებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენასა და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას.
- სააღრიცხვო ჩანაწერების წარმოება საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელება;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების გამოვლენა და პრევენცია.

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის დამტკიცდა კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 21 ნოემბერს.

ხელმძღვანელობის სახელით:

პრეზიდენტი: დავით გიორგობიანი
21 ნოემბერი 2025 წელი



დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს ჰიუნდაი ავტო საქართველოს აქციონერებსა და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს ჰიუნდაი ავტო საქართველოს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - “პირობითი მოსაზრების საფუძველი” - ნაწილში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებები (გარდა მიწისა და შენობებისა) წარმოდგენილია 925,358 ლარით, ხოლო 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 1,078,318 ლარით. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ ძირითადი საშუალებების რეესტრი, რომლის მეშვეობით შესაძლებელი იქნებოდა შესაბამისი ისტორიული ღირებულების, დაგროვილი ცვეთისა და პერიოდის ცვეთის შემოწმება და შესაბამისად ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების სისწორის დადასტურება.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების საბალანსო ნაშთი (გარდა გადასახდელი პროცენტებისა) შეადგენს 3,483,787 ლარს. 2024 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები იმისა, რომ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების ნაშთი ზუსტად და უტყუარად ასახავდა არსებულ მდგომარეობას.

შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა საჭირო იყო თუ არა კორექტირებები წარდგენილ ძირითად საშუალებებთან, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან და სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებასთან დაკავშირებით, ასევე ფინანსური მდგომარეობის, სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებების შესაბამის შემადგენელ ელემენტებთან მიმართებაში.

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი

გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების მე-9, მე-18 და მე-20 შენიშვნებზე, რომლებშიც აღწერილია დაკავშირებულ მხარეებთან კომპანიის გარიგებების მნიშვნელოვანი კონცენტრაცია. ჩვენი მოსაზრება ამ საკითხთან მიმართებაში მოდიფიცირებული არ არის.

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, განმარტებულია ჩვენი დასკვნის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (საერთაშორისო დამოუკიდებლობის სტანდარტების ჩათვლით) (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია მოიცავს „მმართველობის ანგარიშგებას“, ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნის გამოკლებით. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

ჩვენი დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ არის თუ არა იგი არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ჩვენ ასევე მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა მმართველობის ანგარიშგება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნის შესაბამისად სრულ ინფორმაციას.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობის ანგარიშგებაში იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლის ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია, მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად; და
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პარაგრაფით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე “მსს ფასს”-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, შესწევს თუ არა კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში). უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით, აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტის შესაბამის შიდა კონტროლს, რათა დავეგემოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას;
- ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან მიმართებაში, შეძლებს თუ არა კომპანია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა

არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა;

- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება საბაზისო ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

პარტნიორთა და სამეთვალყურეო საბჭოს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

შპს თიემსის სახელით (რეგ. # SARAS-F-156621)
ლევანი აგლაძე (რეგ. # SARAS-A-311380)

21 ნოემბერი, 2025 წელი
თბილისი, საქართველო



სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2024 ლარი	2023 ლარი
ამონაგები	5	77,545,829	100,322,855
ამონაგების თვითღირებულება	6	(64,854,103)	(76,609,247)
საერთო მოგება		12,691,726	23,713,608
მიწოდების ხარჯები		(571,868)	(543,319)
პერსონალის შენახვის ხარჯები	7	(3,527,636)	(3,508,320)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	11	(389,303)	(395,791)
სხვა საერთო ხარჯები	8	(1,044,031)	(1,807,116)
საოპერაციო მოგება		7,158,888	17,459,062
ფინანსური შემოსავალი	9	104,316	123,198
ფინანსური ხარჯები	9	(150,138)	(3,485,102)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	10	2,155,635	22,053
მოგება დაბეგრამდე		9,268,701	14,119,211
მოგების გადასახადის ხარჯი		(39,145)	(133,927)
წლის მოგება		9,229,556	13,985,284
სხვა სრული შემოსავალი			
გადაფასების რეზერვი		1,710,170	-
წლის სხვა სრული შემოსავალი		1,710,170	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		10,939,726	13,985,284

პრეზიდენტი: დავით გიორგობიანი




სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2024 ლარი	2023 ლარი
ამონაგები	5	77,545,829	100,322,855
ამონაგების თვითღირებულება	6	(64,854,103)	(76,609,247)
საერთო მოგება		12,691,726	23,713,608
მიწოდების ხარჯები		(571,868)	(543,319)
პერსონალის შენახვის ხარჯები	7	(3,527,636)	(3,508,320)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	11	(389,303)	(395,791)
სხვა საერთო ხარჯები	8	(1,044,031)	(1,807,116)
საოპერაციო მოგება		7,158,888	17,459,062
ფინანსური შემოსავალი	9	104,316	123,198
ფინანსური ხარჯები	9	(150,138)	(3,485,102)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	10	2,155,635	22,053
მოგება დაბეგვრამდე		9,268,701	14,119,211
მოგების გადასახადის ხარჯი		(39,145)	(133,927)
წლის მოგება		9,229,556	13,985,284
სხვა სრული შემოსავალი			
გადაფასების რეზერვი		1,710,170	-
წლის სხვა სრული შემოსავალი		1,710,170	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		10,939,726	13,985,284

პრეზიდენტი: დავით გიორგობიანი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2024 ლარი	2023 ლარი
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	11	5,801,808	3,089,029
საინვესტიციო ქონება	12	2,618,917	2,064,055
არამატერიალური აქტივები	11	66,776	76,315
ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში	13	1,651,300	1,651,300
სულ გრძელვადიანი აქტივები		10,138,801	6,880,699
მარაგები	14	28,035,750	35,205,820
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15	8,920,888	14,340,582
წინასწარ გადახდილი გადასახადები		1,131,198	965,857
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	16	3,976,649	616,462
სულ მოკლევადიანი აქტივები		42,064,485	51,128,721
სულ აქტივები		52,203,286	58,009,420
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი		100,000	100,000
გადაფასების რეზერვი	17	1,710,170	-
გაუნაწილებელი მოგება		37,160,353	28,930,270
სულ საკუთარი კაპიტალი		38,970,523	29,030,270
ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	18	3,879,383	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		3,879,383	-
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	19	3,880,122	2,611,193
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	18	5,473,258	26,367,956
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		9,353,380	28,979,149
სულ ვალდებულებები		13,232,763	28,979,149
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		52,203,286	58,009,420

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	სააქციო კაპიტალი ლარი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება ლარი	სულ საკუთარი კაპიტალი ლარი
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	77,600	-	18,849,366	18,926,966
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	-	13,985,284	13,985,284
სააქციო კაპიტალის ზრდა	22,400	-	-	22,400
დივიდენდები	-	-	(3,904,379)	(3,904,379)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	100,000	-	28,930,270	29,030,270
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	1,710,170	9,229,556	10,939,726
სააქციო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
დივიდენდები	-	-	(999,474)	(999,474)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	100,000	1,710,170	37,160,353	38,970,523

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	2024 ლარი	2023 ლარი
კლიენტებისგან მიღებული ფული	79,643,513	99,140,764
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(48,621,613)	(74,119,731)
დასაქმებულებზე გადახდილი ფული	(4,008,645)	(4,021,312)
გადახდილი გადასახადები	(3,805,436)	(4,501,119)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	23,207,819	16,498,602
ძირითადი საშუალებების შეძენა	(2,029,886)	(73,013)
მიღებული პროცენტები	104,316	123,198
მიღებული დივიდენდები	700,000	-
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული/(საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	(1,225,570)	50,185
ცვლილებები მიღებულ სესხებში	(16,975,690)	(30,319,430)
გადახდილი პროცენტები	(312,629)	(3,116,077)
გადახდილი დივიდენდები	(999,474)	(3,904,379)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(18,287,793)	(37,339,886)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/შემცირება	3,694,456	(20,791,099)
სავალუტო კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	(334,269)	(1,111,977)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	616,462	22,519,538
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	3,976,649	616,462

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო“ (შემდგომში „კომპანია“) (ს.კ.: 204478948) არის საქართველოში დაფუძნებული და მოქმედი სააქციო საზოგადოება. მისი რეგისტრაციის თარიღია: 24.05.2005. კომპანიის ოფიციალური მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ.

კომპანიის მფლობელი და პრეზიდენტი არის ფიზიკური პირი დავით გიორგობიანი.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა მსუბუქი და სატვირთო ავტომობილებით, სათადარიგო ნაწილებით საცალო და საბითუმო ვაჭრობა და ავტომობილების ტექ. მომსახურება.

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობის ადგილია საქართველო. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. ხშირია ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში და ინტერპრეტაციებში.

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1. მომზადების საფუძველი

ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ზასსს) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტისა (მსს ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

3.2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში

კომპანია მეკავშირე საწარმოში ინვესტიციას აღრიცხავს თვითღირებულებით, რომელიც წარმოადგენს გადახდილი ან გადასახდელი თანხის ოდენობას. კომპანია მეკავშირე საწარმოსგან მიღებულ დივიდენდს თავის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებს ამ დივიდენდის გამოცხადებისას.

მეკავშირე საწარმოში ინვესტიციის გაუფასურების ტესტირება ხდება 3.2 (ი) შენიშვნაში აღწერილი პოლიტიკის მიხედვით. 2024 წლის განმავლობაში, ხელმძღვანელობამ შეაფასა, რომ არ არსებობს კომპანიასთან დაკავშირებული ვითარებები, რომლებიც პოტენციურ გაუფასურებაზე მიანიშნებს და გაუფასურების შემოწმება არ ჩატარებულა.

უცხოური ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ასევე კომპანიის სამუშაო ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავდაპირველად კომპანიის მიერ აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაციაც ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის ოპერაციის აღიარების დღეს არსებული სავალუტო კურსით.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ხდება ანგარიშგების დღეს არსებული სამუშაო ვალუტის საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო კურსით. ფულადი მუხლების ანგარიშსწორების ან კონვერტაციის ოპერაციების შედეგად წარმოდგარი ნებისმიერი სხვაობა აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როცა მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა.

წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული არაფულადი აქტივის ან არაფულადი ვალდებულების აღიარების შეწყვეტის დროს შესაბამისი აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის (ან მისი ნაწილის) თავდაპირველი აღიარების დროს გამოყენებული სავალუტო კურსის განსაზღვრისას ოპერაციის თარიღად ჩაითვლება ის თარიღი, რომლითაც კომპანია თავდაპირველად აღიარებს წინასწარი გადახდით მიღებულ არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას. თანხის რამდენიმე წინასწარი გადახდის ან მიღების შემთხვევაში, კომპანია თითოეულისთვის ცალკე განსაზღვრავს ოპერაციის თარიღს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსებია:

	31.12.2024	31.12.2023
1 აშშ დოლარი / ლარი	2.8068	2.6894
1 ევრო / ლარი	2.9306	2.9753

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მიმდინარე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მიმდინარეა, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცემა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ის დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

ამონაგები და სხვა შემოსავალი

მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლი გადაეცემა კლიენტს ანაზღაურების შესაბამისი ოდენობით, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის და მომსახურების სანაცვლოდ.

ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანია ზოგადად აღიარებს შემდეგი ტიპის შემოსავლებს:

შემოსავალი რეალიზაციიდან

შემოსავალი რეალიზაციიდან წარმოადგენს კომპანიის მიერ რეალიზებული საქონლის ღირებულებას და აღიარდება საქონელზე საკუთრების უფლების გადაცემის მომენტში.

შემოსავალი ტექ. მომსახურებიდან

შემოსავალი ტექ. მომსახურებიდან აღიარდება საბაზისო მომსახურებების დასრულებისას შესასრულებელი მოვალეობების დაკმაყოფილებისთანავე.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი მოიცავს ფინანსურ ან/და სხვა არასაოპერაციო საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალს, რომლებიც მსს ფასს (IFRS for SMEs) 23-ე განყოფილების („ამონაგები“) მიხედვით არ წარმოადგენს ამონაგებს.

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკების, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. დივიდენდებზე გადაიხდება მოგების გადასახადი და ის დაირიცხება იმ აქციონერებზე დივიდენდებზე განაწილებულ მოგებაზე, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში. გადასახადი დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით, იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად გადახდის ფაქტობრივი თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც დივიდენდები გადაიხდება. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო კრედიტორული დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება.

საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის პარტნიორებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და გაცხადდება, როგორც სხვა გადასახადები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- როდესაც დებიტორული და კრედიტორული დავალიანება მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის წმინდა თანხა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება, როგორც წინასწარ გადახდილი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა, ან როგორც საგადასახადო დავალიანება, მოგების გადასახადის გარდა.

მსუბუქი ავტომობილების რეალიზაცია გათავისუფლებულია დამატებული ღირებულების გადასახადისაგან ჩათვლის უფლების გარეშე.

საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ნეტო საფუძველზე წარმოდგენა

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის ნეტო (წმინდა) დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშის დანერგვით. ამიტომ კომპანია ყველა საგადასახადო კრედიტორულ და დებიტორულ დავალიანებასთან დაკავშირებულ აქტივებსა და ვალდებულებებს წარმოადგენს ნეტო საფუძველზე.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

მიწასა და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება. სხვა აქტივებს ცვეთა იმგვარად ერიცხება, რომ აქტივების თვითღირებულება, ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, განაწილდეს მათ შეფასებულ სასარგებლო მომსახურების ვადაზე, კერძოდ, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

ძირითადი საშუალებების შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია ქვემოთ:

	სასარგებლო გამოყენების ვადა
შენობა-ნაგებობები	10-40 წელი
მანქანა-დანადგარები	4-5 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-7 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი

აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადები და ცვეთის მეთოდები იმ შემთხვევაში გადაიხედება და პერსპექტიულად დაკორექტირდება, თუ არსებობს ნიშანი იმისა, რომ ისინი მნიშვნელოვნად შეიცვალა ბოლო საანგარიშგებო თარიღის შემდეგ.

აქტივის საბალანსო ღირებულება დაუყოვნებლივ ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება უფრო მეტია, ვიდრე მისი შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული შემოსულობა და ზარალი განისაზღვრება შემოსულობის შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და სხვაობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

სადაც კომპანია არის მოიჯარე, იჯარას აკლასიფიცირებს საოპერაციო იჯარად თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. საიჯარო გადასახდელებსა და შემოსავლებს კომპანია აღიარებს საიჯარო ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდის მიხედვით.

მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ღირებულებით, რომელსაც ემატება ტრანსპორტირებისა და ჩატვირთვა-გადმოტვირთვის ხარჯები. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება გამოითვლება, როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში სავარაუდო გასაყიდ ფასს გამოკლებული დასრულების და რეალიზაციის სავარაუდო ხარჯი. მარაგები ხარჯებად ტარდება „საშუალო შეწონილი ღირებულების“ მეთოდის გამოყენებით.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ხდება ცვეთადი და ამორტიზებადი აქტივების შეფასება იმის დასადგენად, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი მათი გაუფასურების. თუ არსებობს რაიმე ნიშანი, რომ ესა თუ ის აქტივი შესაძლოა გაუფასურებული იყოს, შემოწმდება ამ აქტივის (ან იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის, რომელსაც მოცემული აქტივი განეკუთვნება) საბალანსო ღირებულება გაუფასურებაზე. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ ოდენობით, რომლითაც მისი საბალანსო ღირებულება.

გაუფასურების შეფასების მიზნით, აქტივები დაჯგუფებულია ყველაზე დაბალ დონეზე, რომელთათვისაც არსებობს ცალკეული ფულადი სახსრების ნაკადები. არაფინანსური აქტივები, რომლებმაც განიცადეს გაუფასურება, მიმოიხილება გაუფასურების შესაძლო შეცვლის მიზნით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები შედგება ბანკში და სალაროში ნაღდი ფულის ნაშთისგან. ნაღდი ფული ბანკში გულისხმობს მიმდინარე ანგარიშებს.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. დაშვებების და მსჯელობის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა, აგრეთვე, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას იყენებს გარკვეულ განსჯას შეფასებებთან ერთად. განსჯას, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, შეიცავს შემდეგს:

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების საწყისი აღიარება

ჩვეულებრივი საქმიანობისას კომპანია ახორციელებს ოპერაციებს თავის დაკავშირებულ მხარეებთან. სტანდარტის მიხედვით, მოითხოვება ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარება, მათი რეალური ღირებულების საფუძველზე. როდესაც არ არსებობს აქტიური ბაზარი მსგავსი ოპერაციებისათვის, განსჯა გამოიყენება იმის განსაზღვრისათვის, გარიგებები საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით ხორციელდება, თუ არასაბაზრო განაკვეთებით. განსჯა ეფუძნება არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასებს და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

კომპანია განიხილავს რეზერვებს სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე და იყენებს სტანდარტის გამარტივებულ მიდგომას. ხელმძღვანელობამ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალს ანგარიშობს ამ ფინანსური ინსტრუმენტების ვადის გათვალისწინებით. კომპანიამ იყენებს კომპანიის საკრედიტო ზარალის გამოცდილების გათვალისწინებით მომზადებული ანარიცხის მოდელს, რომელიც დებიტორების მომავალზე ორიენტირებულ ფაქტორებს და ეკონომიკურ გარემოს ერგება. ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისთვის კომპანიამ განსაზღვრა, რომ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არაარსებითი იყო.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი, ძირითადად, გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა, მაგალითად ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას.

ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშავებენ კომპანიისთვის. გათვალისწინებულ იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და მოვლა-შენახვის პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

მარაგები – ანარიცხების შეფასება

კომპანიის მენეჯმენტი ახორციელებს ხელთ არსებული მარაგების რეგულარულ მიმოხილვას და აფასებს ანარიცხებს, მოძველებული ან ნელაბრუნვადი მარაგების მიმართ. ეს მიმოხილვები მოიცავს გაყიდვების ისტორიული მონაცემების, მიმდინარე ბაზრის პირობებისა და მომავალი გაყიდვების პროგნოზების ანალიზს. ძირითადი ფაქტორები, რომლებიც განიხილება ამ მიმოხილვაში, არის:

გაყიდვების ისტორიული ტენდენციები: წარსული გაყიდვების მონაცემების ანალიზი ნელაბრუნვადი ან მოძველებული მარაგების გამოსავლენად.

დაზიანება და მოძველება: მარაგების ფიზიკური შემოწმება დაზიანებული ან ისეთი მარაგის იდენტიფიცირებისთვის, რომელიც აღარ არის გაყიდვადი.

მარაგების ღირებულებების კორექტირება ხდება მაშინ, როდესაც არსებობს მტკიცებულება, რომ წმინდა სარეალიზაციო ღირებულება თვითღირებულებაზე დაბალია. ასეთი კორექტირებები აღიარდება, როგორც ზარალი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

5. ამონაგები

	2024	2023
	ლარი	ლარი
შემოსავალი ავტომობილების რეალიზაციიდან	70,158,183	93,430,198
შემოსავალი სათადარიგო ნაწილების რეალიზაციიდან	5,300,307	5,147,077
შემოსავალი ტექ. მომსახურებიდან	2,169,631	2,119,853
გაყიდული და უკანდაბრუნებული ავტომობილები	-	(357,196)
გაყიდული და უკანდაბრუნებული სათადარიგო ნაწილები	(82,292)	(17,077)
	77,545,829	100,322,855

6. ამონაგების თვითღირებულება

	2024	2023
	ლარი	ლარი
რეალიზებული ავტომობილები	60,358,115	72,029,448
რეალიზებული სათადარიგო ნაწილები	3,130,960	3,151,774
ტექ. მომსახურება	1,365,028	1,428,025
	64,854,103	76,609,247

7. პერსონალის შენახვის ხარჯები

	2024	2023
	ლარი	ლარი
შრომის ანაზღაურება	3,406,796	3,407,268
ჯანმრთელობის დაზღვევა	120,840	101,052
	3,527,636	3,508,320

8. სხვა საერთო ხარჯები

	2024	2023
	ლარი	ლარი
საგარანტიო ხარჯები	488,945	459,204
საგარანტიო ხარჯების ანაზღაურება	(1,030,849)	(335,175)
მიმდინარე სარემონტო ხარჯი	253,086	298,609
კომუნალური	181,504	160,042
დაცვის ხარჯი	149,492	97,743
საგადასახადო ხარჯი	121,691	89,493
იჯარა	88,962	89,947
წარმომადგენლობითი ხარჯი	83,648	60,187
დაზღვევა	77,135	75,238
მარაგების ანარიცხის ხარჯი	74,772	(5,442)
ბანკის საკომისიო	69,804	132,971
ძირითადი საშუალების რეალიზაცია.	55,447	110,405
სპონსორული საქმიანობა	49,270	46,995
ქონების გადასახადი	40,009	42,104
საწვავის ხარჯი	36,791	59,569
იურიდიული მომსახურების ხარჯი	36,000	48,282
საწევრო გადასახადი	28,345	29,132
საკონსულტაციო ხარჯი	26,402	39,719
საექვო მოთხოვნების ანარიცხის ხარჯი	7,232	31,742
მიწის გადასახადი	3,293	2,835
აკრედიტივის საკომისიო	-	25,244
სხვა	203,052	248,272
	1,044,031	1,807,116

9. ფინანსური შემოსავლები და ხარჯები

ფინანსური შემოსავლები

	2024	2023
	ლარი	ლარი
შემოსავალი უპროცენტო სესხიდან	1,189,566	-
საპროცენტო შემოსავალი მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	104,316	123,198
	1,293,882	123,198

ფინანსური ხარჯები

	2024	2023
	ლარი	ლარი
სესხების საპროცენტო ხარჯი	1,339,704	3,485,102

10. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)

	2024	2023
	ლარი	ლარი
დაბრუნებული გადასახადები	946,122	789,365
მიღებული დივიდენდი	700,000	-
მიღებული საჩუქარი	632,268	-
შემოსავალი იჯარიდან	268,413	368,879
კურსთაშორის სხვაობის შედეგი	(334,269)	(1,508,985)
სხვა არასაოპერაციო მოგება/(ზარალი)	(56,899)	372,794
	2,155,635	22,053

11. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

	მიწა	შენობა- ნაგებობა	მანქანა დანადგარები	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
<u>თვითღირებულება:</u>						
2023 წლის 1 იანვარს	967,550	1,409,444	462,621	298,232	883,018	4,020,865
დამატებები	-	-	4,278	35,230	212,774	252,282
გასვლები	-	-	-	-	(235,395)	(235,395)
2023 წლის 31 დეკემბერს	967,550	1,409,444	466,899	333,462	860,397	4,037,752
დამატებები	1,804,154	1,165,440	76,792	77,969	-	3,124,355
გასვლები	-	-	-	-	(86,530)	(86,530)
2024 წლის 31 დეკემბერს	2,771,704	2,574,884	543,691	411,431	773,867	7,075,577
<u>დაგროვილი ცვეთა:</u>						
2023 წლის 1 იანვარს	-	271,040	222,922	127,336	105,790	727,088
ცვეთის ხარჯი	-	95,243	74,419	62,196	154,571	386,429
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	(164,794)	(164,794)
2023 წლის 31 დეკემბერს	-	366,283	297,341	189,532	95,567	948,723
ცვეთის ხარჯი	-	103,855	74,098	64,589	137,226	379,768
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	(54,722)	(54,722)
2024 წლის 31 დეკემბერს	-	470,138	371,439	254,121	178,071	1,273,769
<u>საბალანსო ღირებულება:</u>						
2022 წლის 1 იანვარს	967,550	1,138,404	239,699	170,896	777,228	3,293,777
2023 წლის 31 დეკემბერს	967,550	1,043,161	169,558	143,930	764,830	3,089,029
2024 წლის 31 დეკემბერს	2,771,704	2,104,746	172,252	157,310	595,796	5,801,808

*საბანკო მოკლევადიანი სესხების უზრუნველსაყოფად კომპანიის ძირითადი საშუალებები დატვირთულია გირავნობის უფლებით.

არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენს კომპიუტერული პროგრამები, რომელთა სასარგებლო გამოყენების ვადა განსაზღვრულია 15 წლით და ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით.

12. საინვესტიციო ქონება

კომპანიის საინვესტიციო ქონებას წარმოადგენს უძრავი ქონება, რომლებიც გაცემულია იჯარით.

კომპანია საინვესტიციო ქონებას აღრიცხავს რეალური ღირებულების მოდელით. ქონება ბოლოს 2024 წელს არის შეფასებული.

საინვესტიციო ქონების მოძრაობა

	ლარი
2023 წლის 1 იანვარს	2,064,055
საინვესტიციო ქონების სხვა აქტივში გადატანა	-
გადაფასება	-
2023 წლის 31 დეკემბერს	2,064,055
საინვესტიციო ქონების სხვა აქტივში გადატანა	(1,155,308)
გადაფასება	1,710,170
2024 წლის 31 დეკემბერს	2,618,917

საინვესტიციო ქონება დატვირთულია იპოთეკის უფლებით სს თიბისი ბანკის მიერ გაცემული სესხის უზრუნველსაყოფად.

13. ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში

კომპანიამ 2021 წლის ბოლოს შეიძინა შპს "დამკ უძრავი ქონება"- ის წილის 40% (უძრავი ქონების სააგენტო), რომელსაც აღრიცხავს თვითღირებულების მოდელით გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

*მეკავშირე საწარმოს ბალანსზე არსებული მიწა და საცხოვრებელი ფართი დატვირთულია გირავნობის უფლებით კომპანიის სასარგებლოდ საბანკო სესხის უზრუნველსაყოფად.

14. მარაგები

	2024	2023
	ლარი	ლარი
ავტომობილები	19,904,694	27,133,943
სათადარიგო ნაწილები	8,480,701	8,311,284
საწვავი	-	35,466
მარაგების ანარიცხი	(349,645)	(274,873)
	28,035,750	35,205,820

კომპანიის არსებული და სამომავლო მარაგები დატვირთულია გირავნობის უფლებით საბანკო სესხის უზრუნველსაყოფად.

15. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2024	2023
	ლარი	ლარი
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	7,447,928	13,220,064
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,531,013	1,188,287
სააქციო კაპიტალის მოთხოვნა	22,400	22,400
საექვო ვალების ანარიცხი	(178,364)	(171,132)
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	97,911	80,963
	8,920,888	14,340,582

კომპანიის არსებული და სამომავლო ყველა მოთხოვნა დატვირთულია გირავნობის უფლებით საბანკო სესხის უზრუნველსაყოფად.

16. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2024	2023
	ლარი	ლარი
ფული საბანკო ანგარიშებზე	3,971,094	608,910
ნაღდი ფული სალაროში	5,555	7,552
	3,976,649	616,462

17. გადაფასების რეზერვი

აქტივების გადაფასების რეზერვი გამოიყენება ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულების ზრდის აღრიცხვისთვის, და ასევე შემცირების აღრიცხვისთვის იმდენად, რამდენადაც ღირებულების შემცირება უკავშირდება ღირებულების ზრდას იმავე აქტივზე, რომელიც მანამდე კაპიტალში იყო აღიარებული. რეზერვის გამოყენება დივიდენდების გადასახდელად არ შეიძლება.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის საინვესტიციო ქონება გადაფასდა დამოუკიდებელი შეფასების მიერ. შეფასებისას გამოყენებულ იქნა საბაზრო (შედარების) მიდგომა.

გადაფასების შედეგად მიღებული ნამეტი, 1,710,170 ლარის ოდენობით, მთლიანად აღიარებულია სხვა მთლიან შემოსავალში.

18. სასესხო ვალდებულებები

			2024	2023
	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	ლარი	ლარი
<u>გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები:</u>				
სესხები დამფუძნებლებისგან	USD	0%	3,879,383	-
			3,879,383	-
<u>მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები:</u>				
სესხები ბანკებისგან	USD	3-10%	5,473,258	26,367,956
			-	-
			5,473,258	26,367,956

საბანკო მოკლევადიანი სესხების უზრუნველსაყოფად კომპანიის მარაგები, მოთხოვნები და ძირითადი საშუალებები, კომპანიის წილის 100% (აქციების სახით), მეკავშირე საწარმოს მიწა და შენობა-ნაგებობები დატვირთულია გირავნობის უფლებით.

19. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	2024	2023
	ლარი	ლარი
მიღებული ავანსები	3,083,168	2,112,872
მოწოდებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	386,763	348,232
გადასახდელი პროცენტები	396,335	138,704
ვალდებულება პერსონალის წინაშე	13,856	11,385
	3,880,122	2,611,193

20. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევიან, თუ ისინი საერთო კონტროლის ქვეშ არიან ან თუ ერთ მხარეს შესწევს უნარი გააკონტროლოს მეორე მხარე ან შესაძლოა ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა ან ერთობლივი კონტროლი მეორე მხარის მიერ ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებაზე. დაკავშირებული მხარის ყველა შესაძლო ურთიერთობის გათვალისწინებისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის არსს და არა მის სამართლებრივ ფორმას.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია იმ გარიგებების მთლიანი თანხა, რომლებიც შესაბამის ფინანსურ წელს დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა:

	მესაკუთრეები	მთავარი ხელმძღვანელობა	სხვა დაკავშირებული მხარეები
	ლარი	ლარი	ლარი
2024			
გაყიდვები	-	-	2,184,341
შესყიდვები	-	-	37,994,822
სესხის მიღება	8,006,400	-	-
მიღებული სესხის დაბრუნება	3,754,610	-	-
გამოცხადებული დივიდენდები	999,474	-	-
სახელფასო ხარჯები	60,000	106,785	-
საპროცენტო ხარჯი	434,195	-	-
საპროცენტო შემოსავალი	1,189,566	-	-
სავაჭრო მოთხოვნები	-	-	29,409
სავაჭრო ვალდებულებები	-	-	43,718
სასესხო ვალდებულებები	3,879,383	-	-

	მესაკუთრეები	მთავარი ხელმძღვანელობა	სხვა დაკავშირებული მხარეები
	ლარი	ლარი	ლარი
2023			
გაყიდვები	-	2,230	96,969
შესყიდვები	-	-	151,270
სესხის მიღება	-	-	-
მიღებული სესხის დაბრუნება	-	-	-
გამოცხადებული დივიდენდები	3,904,379	-	-
სახელფასო ხარჯები	-	82,008	-
საპროცენტო ხარჯი	-	-	-
საპროცენტო შემოსავალი	-	-	-
სავაჭრო მოთხოვნები	-	-	18,763
სავაჭრო ვალდებულებები	-	-	19,133
სასესხო ვალდებულებები	-	-	-

21. პირობითი და შესაძლო ვალდებულებები

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანიის

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს კომპანიის შემოწმება შეუძლიათ ბოლო სამი წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო

საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

შეუქცევადი საოპერაციო იჯარები

ა) კომპანიას აქვს იჯარით გაცემული ფართები. კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, იჯარები წარმოადგენს საოპერაციო იჯარას. ქვემოთ წარმოდგენილია იჯარის ხელშეკრულებებით მომავალში მისაღები საიჯარო შემოსავლები

	2024	2023
	ლარი	ლარი
1 წლამდე	255,880	358,340
1-დან 5 წლამდე	372,774	527,681

ბ) კომპანიას აქვს სხვადასხვა იჯარები საოპერაციო საქმიანობისთვის, მათ შორის შენობების, დანადგარების, მოწყობილობების, სატრანსპორტო საშუალებების და სხვა. იჯარები არის საოპერაციო და მათი ვადაა 1-დან 5 წლამდე. კომპანიას წლის ბოლოს ჰქონდა შემდეგი ვალდებულებები შეუქცევადი საოპერაციო იჯარებისთვის:

	2024	2023
	ლარი	ლარი
1 წლამდე	60,000	60,000
1-დან 5 წლამდე	115,000	175,000

22. ფინანსური რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა

კომპანიაში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო რისკის და სხვა ფასის რისკის ჩათვლით), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველყოფისათვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მეორე მხარე ვერ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტით ან მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით კომპანიას ფინანსური ზარალი მიადგება. კომპანიას საკრედიტო რისკი ემუქრება საოპერაციო საქმიანობის და ფინანსური საქმიანობის ნაწილში, ასევე ბანკებსა და ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებულ ფულად სახსრებთან მიმართებით.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა, ანგარიშგების თარიღისთვის, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები:

	2024	2023
	ლარი	ლარი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,531,013	1,188,287
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3,976,649	616,462
	5,507,662	1,804,749

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას სირთულებები შეექმნება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებისას. კომპანია ყოველდღიურად იღებს მოთხოვნებს თავის ხელმისაწვდომ ფულად რესურსებზე. ლიკვიდურობის რისკის მართვას ხელმძღვანელობა ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების მცოცავი პროგნოზის ყოველთვიური მონიტორინგით. კომპანია ცდილობს სტაბილური დაფინანსების ბაზის შენარჩუნებას, რაც ძირითადად მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად ახორციელებს ლიკვიდურობის მდგომარეობის მონიტორინგს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრისათვის, მათი დარჩენილი საკონტრაქტო დაფარვის ვადების მიხედვით. დაფარვის ვადის ცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებების თანხები წარმოადგენენ საკონტრაქტო, არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს, მსგავსი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხებისაგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხები ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს.

ფინანსური ვალდებულებები:

	2024		
	12 თვემდე	12 თვეზე მეტი	სულ
	ლარი	ლარი	ლარი
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	386,763	-	386,763
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	5,473,258	-	5,473,258
	5,860,021	-	5,860,021

	2023		
	3 -12 თვემდე	12 თვეზე მეტი	სულ
	ლარი	ლარი	ლარი
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	348,232	-	348,232
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	26,367,956	-	26,367,956
	26,716,188	-	26,716,188

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით.

საბაზრო რისკი წარმოიქმნება ღია პოზიციებიდან: ა) უცხოურ ვალუტასთან, ბ) საპროცენტო განაკვეთები და გ) წილობრივ პროდუქტებთან მიმართებაში, ამასთან ყველა მათგანს გააჩნია საერთო და სპეციფიკური საბაზრო ცვლილებების რისკი. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც ყოველდღიურად ახორციელებს. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას, ამ ზღვრების მიღმა უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისა და (საპროცენტო რისკი) უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

I. საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე.

ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას აქტივებისა და ვალდებულებების მიღება/დაფარვის ვადების შეუსაბამობით, ასევე იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე.

II. სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

შემდეგ ცხრილში მოცემულია კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები დენომინაციის ვალუტის მიხედვით:

	აშშ დოლარი	ევრო	ლარი	სულ
31.12.2024				
<u>ფინანსური აქტივები:</u>	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	54,727	-	1,476,286	1,531,013
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3,693,405	4,204	279,040	3,976,649
	3,748,132	4,204	1,755,326	5,507,662
<u>ფინანსური ვალდებულებები:</u>				
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	241,686	-	145,077	386,763
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	10,108,012	-	(4,634,754)	5,473,258
	10,349,698	-	(4,489,677)	5,860,021
წმინდა სავალუტო პოზიცია	(6,601,566)	4,204	6,245,003	(352,359)
	აშშ დოლარი	ევრო	ლარი	სულ
31.12.2023				
<u>ფინანსური აქტივები:</u>	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	41,094	-	1,147,193	1,188,287
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	109,818	4,522	502,122	616,462
	150,912	4,522	1,649,315	1,804,749
<u>ფინანსური ვალდებულებები:</u>				
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	69,538	145	278,549	348,232
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	26,379,341	-	(11,385)	26,367,956
	26,448,879	145	267,164	26,716,188
წმინდა სავალუტო პოზიცია	(26,297,967)	4,377	1,382,151	(24,911,439)

23. კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას, კომპანიის მიზანი არის მისი უნარის დაცვა, გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, რათა უზრუნველყოს უკუგება აქციონერებისათვის და სარგებელი სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის და კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის შენარჩუნება, რათა შეამციროს კაპიტალის ხარჯი. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან შესწორების მიზნით, კომპანიამ შესაძლოა, დააკორექტიროს პარტნიორისთვის გადახდილი დივიდენდი ან უკან დაუბრუნოს კაპიტალი პარტნიორს.

24. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კომპანიის სასესხო ვალდებულება შემცირდა 7,014,800 ლარით. სხვა ისეთ მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ანგარიშგებაში გამჟღავნებას ადგილი არ ჰქონია.

25. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 21 ნოემბერს.

პრეზიდენტი: დავით გიორგობიანი _____

24. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები


საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კომპანიის სასესხო ვალდებულება შემცირდა 7,014,800 ლარით. სხვა ისეთ მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ანგარიშგებაში გამჟღავნებას ადგილი არ ჰქონია.

25. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 21 ნოემბერს.

პრეზიდენტი: დავით გიორგობიანი





სს „ჭიუნდაი ავტო საქართველოს“
2024 წლის მმართველობის ანგარიშგება

ზოგადი მიმოხილვა

სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო“ (ს/ნ 204478948, შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2005 წლის 24 მაისს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204478948). კომპანიის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ.

2024 წლის 31 დეკემბრისათვის კომპანიის დამფუძნებელი და 100%-ანი აქციონერი არის ბ-ნი დავით გიორგობიანი.

შემოსავლები

სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო“ არის კორეული ავტომწარმოებლის „ჰიუნდაი მოტორ კომპანის“ ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში. კომპანია ძირითად შემოსავალს იღებს ჰიუნდაის მარკის ავტომანქანების იმპორტითა და რეალიზაციით, ასევე თანმდევი ტექნიკური მომსახურებისა და სათადარიგო ნაწილების რეალიზაციით. ძირითადი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის გარდა, კომპანია იღებს დამატებით შემოსავალს უძრავი ქონების გაქირავებიდან.

კომპანიამ 2024 წელი დაასრულა 10 939 726 ლარის წმინდა მოგებით რაც 3 045 557 ლარით (22%) ნაკლებია გასული წლის მონაცემთან შედარებით. წმინდა მოგების შემცირება ძირითადად განპირობებულია შემოსავლების 22 777 026 ლარით (23%) შემცირებით. მიუხედავად ამისა, კომპანიამ შეძლო შემოსავლების შემცირების დაკომპენსირება ხარჯების შემცირებით, კერძოდ გასულ წელთან შედარებით საქონლის თვითღირებულება შემცირებულია 11 755 144 ლარით (15%) ხოლო ფინანსური ხარჯები 3 334 965 ლარით (96%).

ძირითადი საწარმოო სიმძლავრეები

კომპანიის საგამოფენო დარბაზი და ტექ. მომსახურების ცენტრი მდებარეობს ქ. თბილისში, აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კილომეტრზე. მიწის ნაკვეთის საერთო ფართობი - 5,000 კვ.მ, საგამოფენო დარბაზის საერთო ფართობი - 1,600 კვ.მ, ხოლო ტექ. მომსახურების ცენტრის ფართობი - 1,580 კვ.მ.

საგამოფენო დარბაზი არის ახალი გარემონტებული, აქვეა განთავსებული ადმინისტრაციისა და მომხმარებელთა მომსახურების ოფისები. ტექ. მომსახურების ცენტრი აღჭურვილია თანამედროვე დანადგარებით და მოწყობილია საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.

ძირითადი საშუალებების გარდა კომპანია ფლობს უძრავი ქონების სამ ობიექტს: 1) თბილისი-რუსთავის დამაკავშირებელ მაგისტრალთან მდებარე კომერციულ ფართს (მიწა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები), 2) კომერციულ და საოფისე დანიშნულების გასაქირავებელ ფართებს, რომელთა ფართობებია 2,748 კვ.მ. და 403.9 კვ.მ., შესაბამისად. 3) დავით აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კმ.ზე მდებარე ფართი (მიწა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა). მათი დანიშნულებაა გრძელვადიანი საიჯარო შემოსავლების გენერირება კომპანიისთვის. აღნიშნული ფართები კლასიფიცირებულია როგორც საინვესტიციო ქონება და ასახულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში. საინვესტიციო ქონების 2 ობიექტი - თბილისი-რუსთავის დამაკავშირებელ მაგისტრალთან მდებარე კომერციული ფართი და დავით აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კმ.ზე მდებარე ფართი (მიწა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები) გაქირავებულია.

საქმიანობის განვითარების გეგმები

საწარმოს ამ ეტაპზე არ გააჩნია არსებული ოპერირების გარდა სხვა საქმიანობის განვითარების გეგმები.

გარემოს დაცვის საკითხებზე თუ რაიმე ტიპის ზეგავლენას ახდენს კომპანია და ჩატარებული აქვს რაიმე სახის კვლევა

ასეთი სახის კვლევა კომპანიაში არ ჩატარებულა.

პრეზიდენტი, აღმასრულებელი დირექტორი,

დავით გიორგობიანი

